

კითხვარი

როგორ დავეგემოთ, განვახორციელოთ და შევაფასოთ პროექტი უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინებით

A) პროექტის დაგეგმვა და განხორციელება

1. პროგრამის/პროექტის ბენეფიციარები და დაინტერესებული მხარეები

- პროექტის სამიზნე ჯგუფი მოიცავს თუ არა ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და/ან სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს?
- უმცირესობათა შორის არიან თუ არა ტრადიციულად უფრო მოწყვლადი ჯგუფები, როგორცაა, ახალგაზრდები, ქალები, ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ლგბტ პირები და სხვა, ვინც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ?
- თუკი პროექტის სამიზნე ჯგუფს უმცირესობები წარმოადგენენ, მოიაზრება თუ არა უმრავლესობის წარმომადგენლების ჩართულობა?
- მოახდენს თუ არა პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა ან პროექტის შედეგები პირდაპირ ან ირიბ ზეგავლენას მოსახლეობის იმ ჯგუფებზე (უმრავლესობაზე ან უმცირესობაზე), რომლებიც პროექტის პირდაპირ სამიზნე ჯგუფს არ წარმოადგენენ?

2. მონაცემები

- შეაგროვეთ თუ არა საბაზისო მონაცემები ან მოიძიეთ თუ არა უკვე არსებული ინფორმაცია უმცირესობებსა და უმცირესობებს შორის არსებულ ტრადიციულად უფრო მოწყვლად ჯგუფებზე?
- იგეგმება თუ არა პროექტის ფარგლებში უმცირესობების ჯგუფებთან დაკავშირებით მონაცემთა შეგროვება? ამგვარი მონაცემების შეგროვებისას, გთხოვით, დაიცვათ ეთიკის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები, მათ შორის, თვითიდენტიფიკაციის პრინციპების პატივისცემა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

3. თანამონაწილეობის/ჩართულობის ფორმები

- უზრუნველყოფს პროექტი თუ არა უმცირესობათა ჯგუფების ჩართულობას იმ პროცესებში, რომლებიც მიმართულია მათი უფლებების და ინტერესების დაცვასა და პრობლემების მოგვარებზე? მიუწვდებათ თუ არა ხელი უმცირესობებს პროექტის ფარგლებში შექმნილ პროდუქტებსა და სერვისებზე?
- რა მიდგომებს იყენებთ უმცირესობებისა და უმცირესობებს შორის არსებული ტრადიციულად უფრო მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობისათვის?
- არსებობს თუ არა ფაქტორები, რამაც შესაძლოა ხელი შეგიშალოს უმცირესობებთან ან უმცირესობათა შორის არსებულ ტრადიციულად უფრო მოწყვლად ჯგუფებთან ურთიერთობისა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფის კუთხით, მათ შორის:
 - მგზავრობის მანძილი და უსაფრთხოება;
 - არაადაპტირებული გარემო შშმ პირებისათვის;
 - კომუნიკაციის/ენობრივი ბარიერები;
 - პროექტის ღონისძიებების დაგეგმვა არახელსაყრელ დროს (სამუშაო საათების, ოჯახის თუ სხვა მოვალეობებისთვის განკუთვნილ დროს)
 - კულტურული/რელიგიური წეს-ჩვეულებები (საკვები, ჩაცმულობა, ლოცვა და ა.შ.);

- ფინანსური ბარიერები (მგზავრობასთან და ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული ხარჯი, შემოსავლის დაკარგვის საფრთხე);
- დისკრიმინაციის ისტორიული გამოცდილება, უმცირესობებს შორის არსებული შიდა დინამიკა და ურთიერთზეგავლენის ფორმები, რაც გამორიცხავს მათ ჩართულობას;
- განათლების დონე (განსაკუთრებით, მათი უფლებების შესახებ).

4. პროექტის ამოცანები, აქტივობები და ინდიკატორები

- პროექტის დაგეგმვის დროს, გამოიყენეთ თუ არა უმცირესობათა საჭიროებების კვლევები თუ ანგარიშები და გადაამოწმეთ თუ არა თავად უმცირესობათა ჯგუფებთან, რამდენად ასახავს ისინი მათ საჭიროებებს?
- განსაზღვრეთ თუ არა რამდენად შეესაბამება უმცირესობებთან დაკავშირებული ადგილობრივი პრაქტიკები ქვეყნის მიერ ნაკისრ საერთაშორისო და ეროვნულ ვალდებულებებს?
- ახდენს თუ არა პროექტი/პროგრამა პოზიტიურ ან ნეგატიურ გავლენას (ან პოტენციურად მოახდენს) უმცირესობების უფლებრივ მდგომარეობაზე, ისეთ სფეროებში როგორცაა განათლება, მედია, ეკონომიკური ჩართულობა და სხვ.? მაგალითად, უმცირესობათა ჯგუფის წარმომადგენლებისათვის ტრენინგი ზრდის მათი დასაქმების შესაძლებლობას (პოზიტიური); უმცირესობათა სხვა წარმომადგენლები, რომლებიც პროგრამის/პროექტის სამიზნე ჯგუფს არ წარმოადგენენ, ამ კუთხით არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან (ნეგატიური).
- მოიცავს თუ არა პროექტი უმცირესობის საკითხებთან დაკავშირებულ ინდიკატორებს?
- როდესაც პროექტი უმცირესობათა უფლებებსა და მათ საჭიროებებს ეხება, იგეგმება თუ არა ამ კუთხით უმრავლესობებთან მუშაობა? (ეს ფაქტორი გაითვალისწინეთ რისკების შეფასების დროსაც).

5. რისკების შემცირება

- როგორი ურთიერთობა აქვთ განსხვავებულ ბენეფიციარებს ან მათ ჯგუფებს ერთმანეთთან (უმრავლესობა - უმცირესობა, უმცირესობა - უმცირესობა)? რა ურთიერთობებია თავად უმცირესობათა ჯგუფებში? როგორ გეგმავთ დამაბული ურთიერთობების დარეგულირებას?
- პროექტის დაგეგმვისას გაითვალისწინეთ თუ არა განსხვავებულ ბენეფიციარებს ან დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებს შორის დამაბულობის თავიდან აცილების, შემცირების ან მოგვარების საჭიროება?

6. ბიუჯეტირება

- გააუმჯობესებს თუ არა უმცირესობათა ჩართულობას პროექტში დამატებითი რესურსების გამოყოფა?
- მიიღებენ თუ არა თანაბარ ანაზღაურებას პროექტში დასაქმებული უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლები?

7. მდგრადობა

- შეესაბამება თუ არა პროექტის ამოცანები უმცირესობების უფლებების დაცვის კუთხით მთავრობის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, საერთაშორისო სტანდარტებსა და პროცედურებს (მაგ. საერთაშორისო ხელშეკრულებები უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი)?

8. პროექტის თანამშრომლები

- საჭიროებენ თუ არა პროექტის თანამშრომლები ადამიანის უფლებების, მათ შორის უმცირესობათა უფლებების, სტანდარტების და მათი დაცვის, ასევე სოციალური ინტეგრაციის შესახებ ცოდნის გაუმჯობესებას?
- საჭიროებენ თუ არა პროექტის თანამშრომლები ტრენინგს ან სხვა სახის მხარდაჭერას უმცირესობათა ჯგუფებთან დაკავშირებული პროექტის დაგეგმვისა და განხორციელებისას და უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების უკეთ გათვალისწინების ხელშესაწყობად?
- პროექტში ჩართულ თანამშრომლებს შორის არიან თუ არა უმცირესობების წარმომადგენლები?

B. მონიტორინგი და შეფასება

- პროექტის მიმდინარეობისას უმცირესობებთან დაკავშირებით ხომ არ წარმოიშვა უმცირესობებთან დაკავშირებული გაუთვალისწინებელი პრობლემები?
- გამოიწვია თუ არა ამ გაუთვალისწინებელმა პრობლემებმა პროექტის ზოგადი მიდგომებისა და ამოცანების ცვლილება? როგორ აისახა ეს ცვლილება პროექტის განხორციელებაზე?